პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 17 (20663) — შაბათი, 20 იანვარი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

# გარდაქმნას — საქმეთა ენერგია

**18 იანვარს** მოსკოვში გაიხსნა მუშათა კლასის, გლეხობისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წარმომადგენელთა საკავშირო თათბირი. კრემლის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ ქარხნების, ფაბრიკების, საწარმოო გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, კოოპერატივების, საიჯარო კოლექტივების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელები.

თათბირში მონაწილეობენ **მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ი. ვორობიოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ფ. ა. ივაშკო, ი. კ. ლიგაჩოვი, ვ. ა. შედვედეევი, ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ნ. სლიუნკინოვი, ე. ა. შევარდნაძე, ა. პ. ბირიუკოვი, ა. ფ. კლასოვი, დ. ტ. იაზოვი, ა. ი. ლუკიანოვი, ბ. კ. პუგო, ვ. პ. რაზუმოვსკი, ო. დ. ბაკლანოვი, ი. ა. ვანაეკოვი, ე. ს. სტროევი, ვ. ი. უსპასოვი, ი. ტ. ფროლოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები და მეცნიერები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა.**

## მ. ს. გორბაჩოვის შესავალი სიტყვა

**ძვირფასო** ამხანაგებო! ვხსნი რა მუშათა კლასის, გლეხობის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წარმომადგენელთა საკავშირო თათბირს, ჯერ ადგილი უნდა მოგესალმოთ თქვენ ამ შეხვედრაზე, რომელიც ეწყობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, მივესალმო თქვენი სახით ჩვენი ქვეყნის მშრომელებს.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ახლანდელ თათბირს — მისი წარმომადგენლობითი ხასიათის თვალსაზრისითაც, მოწყობის დროის მხრივაც და ჩვენი საზოგადოების გარდაქმნის, განახლების იმ ამოცანების თვალსაზრისითაც, რომლებსაც დღეს ვწყვეტთ.

გვინდა მოვისმინოთ თქვენი აზრი, თქვენი შეხედულებანი საპირბოროტო საკითხებზე, პრობლემებზე. გარდაქმნაში დაიწყო მისი განვითარების ძნელი, მე ვიტყოდი, გადამწყვეტი ფაზა. უკან დარჩა — ერთგვარად — მიტინგები, თუმცა ჯერ კიდევ იმართება ისინი, უკან დარჩა დისკუსიები გარდაქმნის პოლიტიკის, მისი მთავარი მიზნების თაობაზე. ჩვენ მივუახლოვდით ამ პოლიტიკის ხორცშესხმის ძალზე დიდმნიშვნელოვან ეტაპს.

გარდაქმნა ფართოვდება და ღრმავდება, მოიცავს ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის საზოგადოების ყველა ფენას, ცხოვრების ყველა სფეროს. და რადგან სიმშე ეხება ღრმა, ფუნდამენტურ ცვლილებებს, ურომლისოდან ვერ მოხდება საზოგადოების განახლება, შეუძლებელია მისი გასვლა ფუნქციონირების, ორგანიზაციის ახალ დონეზე, ეს პროცესი მწვავე ფორმებსაც იძენს. ამის თქვენ ყველანი ვგრძნობთ. ჩვენ ვხდებით ძველისა და ახლის, სხვადასხვაგვარი პოზიციების, აზრებისა და, რა თქმა უნდა, ინტერესების გადამწყვეტი შეჯახების მოსწმენი. ხალხს სურს გეერკვეს ახლანდელ სიტუაციაში, გაიგოს მისი პერსპექტივები, გიგოს, რა მოგველის ყველას ჩვენ ხვალ.

ისმება კითხვა: ხომ არ დავუშვით შეცდომები გარდაქმნის არჩევაში, მიმართულებაში? და, რა თქმა უნდა, ყველას სურს იცოდეს, როდის შეიძენს პოზიტიური ცვლილებანი მყარ ხასიათს და მოგვიტანს საგულისხმო შედეგებს. ყოველივე ეს ბუნებრივი, საარსებო საკითხებია, რადგან ჩვენი ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ მას აინტერესებს არა მარტო თავისი საკუთარი ბედი, არაფერედ შრომითი კოლექტივის, რესპუბლიკის, ხალხის, მთლიანად ქვეყნის ბედიც.

რა მინდოდა ამასთან დაკავშირებით მეთქვა დღევანდელი განხილვის წინ? გადავწყვიტეთ არ წავიკითხოთ მოხსენებები, არამედ მაქსიმუმი დრო დაგითმოთ თქვენ, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო ხანს არცთუ ცოტა მოხსენებები და გამოსვლები მოგიმზადეთ. და, ალბათ, სწორი იქნებოდა, დაგვეწყო თქვენი გამოსვლებით, მოსაზრებებით, რომლებიც ვიმედოვნებ, მოიტანეთ აქ, კრემლის დიდი სასახლის დარბაზში.

აი, რა მინდოდა მეთქვა ჩემს შესავალ სიტყვაში ამ თათბირზე დისკუსიის წინ.

უწინარეს ყოვლისა, ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავ: არა ვინმეს გამონაგონმა, სუბიექტურმა სურვილმა, მისწრაფებამ, ამბიციებმა, არამედ თვით ცხოვრებამ მიგვიყვანა რადიკალური გარდაქმნის იდეებამდე. იგი ჩვენ გვაჩარა. ჩვენ უბრალოდ აღარ შეგვიძლია ვიცხოვროთ ისე, როგორც ვცხოვრობდით. გარდაქმნა ჰაერივით გვჭირდება. გვჭირდება იმისათვის, რომ გამოვავლინოთ ის უზარმაზარი კაპიტალი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლის წლების მანძილზე დაგროვდა. მხედველობაში მაქვს ჩვენი საზოგადოების მეცნიერ-ტექნიკური და მთელი ინტელექტუალური პოტენციალიც.

მხედველობაში მაქვს ის უზარმაზარი რესურსებიც, რომლებიც დღითი დღე სულ უფრო უნარინად უნდა გამოვიყენოთ, რათა უზრუნველვყოთ ოჯახები ახლანდელი, ისე მომავალი თაობების ღირსეული ცხოვრება. ჩვენ დავაგროვეთ სოციალური ურთიერთობის მშენებლობის დიდი გამოცდილება, და ესეც უნდა გავიზიაროთ და გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ ჩვენი წყობილების ახალ გაგების. და ბოლოს, მინდა ვთქვა მთავარი. გარდაქმნის პოლიტიკის ამოსავალი პუნქტი მაინც ადამიანისათვის ზრუნვაა. სწორედ გარდაქმნის პოლიტიკის ცენტრში დავაყენეთ ადამიანი, მისი ცხოვრება და საზრუნავი, ინტერესები და მისწრაფებანი. ჩვენი თაობების მტკიცე მომავალი. და მთელი ჩვენი ეკონომიკის, პოლიტიკური პროცესის, სულიერი გენეთიარების ორიენტირება, შემობრუნება სწორედ ამ შინაარსებულებით, ადამიანების გაკეთებას იმ მდგომარეობიდან, რომელშიც ისინი წარმოების საშუალებებისაგან, საბჭოების მუშაობისაგან, ქვეყნის მართველობაში მონაწილეობისაგან მოწყვეტის შედეგად აღმოჩნდნენ — ეს საკითხია საკითხია. ეს, რა თქმა უნდა, ისტორიული მასშტაბის ამოცანაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ არათუ უარს არ ვამბობთ სოციალისტურ არჩევანზე — ჩვენ გვსურს საზოგადოების განახლების მეშვეობით გამოვავლინოთ სოციალისტური წყობილების ჰუმანური ხასიათი. გვინდა მივაღწიოთ ჰუმანურ, დემოკრატიულ საზოგადოებას. საზოგადოებას დინამიკური ეკონომიკით, მეცნიერებისა და კულტურის მაღალი დონით, ადამიანისათვის ღირსეული ცხოვრების პირობებით.

აი, კაცმა რომ თქვას, გარდაქმნის ფორმულა და ძირითადი აზრი. ამ საზოგადოებაში, რომელსაც ჩვენ ვესწრაფვით, მტკიცედ და საიმედოდ უნდა იყოს დაცული ადამიანის უფლებანი, შეიქმნას ყველა პირობა, როგორც უკვე ვთქვი, ღირსეული ცხოვრებისათვის.

მიმდინარე ხუთწლედის განვლილი ოთხი წელი აღსავსეა დიდი მუშაობით, ძიებებით, ძნელი, დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებით, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფოს და ქვეყნის ბედს, და არა მარტო უახლოესი მომავლისათვის, არამედ წინასწარ ათწლეულებისათვის. ისინი აღსავსეა საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებში მომხდარი პირველი ცვლილებებით. და, როგორც ყოველთვის, პირველი ნაბიჯები ყველაზე ძნელია. ისინი მრავალ ფიქრს, წუხილს, სამართლიან წუხილს აღძრავს, რადგან საქმე ეხება ჩვენს ახლანდელ და ხვალინდელ ბედს.

გარდაქმნის წყალობით, — ეს დღეს შეგვიძლია აღვნიშნოთ — ქვეყანაში მკვიდრდება დემოკრატიისა და საჯარობის ატმოსფერო. სულ უფრო მკაფიოდ და მძლავრად გაისმის მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის ხმა. თუმცა მე ვფიქრობ, ამასთან დაკავშირებით თქვენ ილაპარაკებთ დემოკრატიაზეც, საჯარობაზეც, თქვენს როლზეც და იმაზეც, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესები. ვფიქრობთ, სთქმელი გექნებათ, და ჩვენ დინტერესებული ვართ იმით, რომ ეს ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს აქ პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის.

ეს მარტივი პროცესი არ არის, მაგრამ გვჭირდება, ამხანაგებო. და ჩვენ იგი უნდა დავიცვათ — მხედველობაში მაქვს ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესი — იმითგანაც, ვისაც სურს იგი შეაჩეროს, ისევე როგორც იმითგანაც, ვისაც სურს იგი გამოიყენოს საძარცვის მიზნებით. არადა, ერთიც და მეორეც ხდება.

ჩვენ ეკონომიკაში ღრმა რეფორმების გზას დავდექით. და ეს შეეხო საკუთრებითს ურთიერთობას, მეურნეობრიობისა და მმართველობის ფორმებს. არსებითად იცვლება ადამიანის მდგომარეობა წარმოებაში, ეს კი ცხოვრების ფუძემდებელი სფეროა. იმაზე, თუ როგორ წარიმართება, რა ხასიათი იქნება ცვლილებებს ეკონომიკაში, გადამწყვეტწილად იქნება დამოკიდებული ისიც, თუ როგორი გახდება ჩვენი საზოგადოება. ეს არის ის, რასაც საზოგადოების ბაზისს ვუწოდებთ.

გარდაქმნამ გზა გაუკვალა ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მეურნეობრიობისა და მმართველობის ახალი ფორმების, სტიმულირების ახალი სისტემის მეშვეობით ჩვენ გვინდა შრომელი ადამიანების ინტერესები შეეფიწყოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, რათა გავიდეთ შრომის ნაყოფიერების ახალ დონეზე. შრომის ნაყოფიერებისა, რომელიც გარდაქმნის წინ ძლიერ ივიწყებოდა იზრდებოდა. თვით მშრომელის დინტერესებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოყენებაზე დამყარებული შრომის ნაყოფიერების ზრდის გარეშე კი შრომის არავითარი ახალი დონე არ იქნება.

სიძნელეებითა და შეცდომებით განვლეთ პოლიტიკური რეფორმის პირველი ეტაპი. განვლეთ თქვენ თვალწინ. ჩამოყალიბდა სახალხო ხელისუფლების ორგანოების უმაღლესი ეშელონი, გამოცდილებას იძენს სსრ კავშირის ახალი უზენაესი საბჭო. ინტენსიურად მიმდინარეობს საკანონმდებლო აქტების განახლება, იქმნება პირველი წანამძღვრები გარდაქმნის პროცესებისა და სამართლებრივი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე დიდი ღონისძიებების რეალიზაციისათვის.

მალე დაიწყება რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, ისინი მოსწყვეტს პოლიტიკური რეფორმის შემდგომ გაღრმავებას და დასახავს ახალ შესაძლებლობებს სახელმწიფოს მმართველობაში ადამიანთა რეალური მონაწილეობისათვის. ჩვენთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მოვისმინოთ, როგორ აფასებთ თქვენ ამ პროცესს, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ. საბჭოების მდგომარეობასა და როლში კარდინალური ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მათი ახალი ფუნქციების მეშვეობითაც და იმის მეშვეობითაც, ვინც იქ მივა. ვინ იქნება იქ, საბჭოებში, გადამწყვეტი ძალა.

როგორ მიმდინარეობს ყოველივე ეს: თქვენ ეს-ეს არის ჩამოხვედით ადგილებიდან, ყველაფერი თქვენ თვალწინ ხდება.

ვიტყვი, ჩვენ ვწუხვართ. და ეს წუხილი ჯერ არ განელებულა. იგი წარმოიშვა ჯერ კიდევ გასული საარჩევნო კამპანიის დროს, როცა ჩვენ ყველანი ერთად ვასახელებდით და ვირჩევდით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებს. ჯერჯერობით თვითდან ვერ მოგვიცილებია სუსტი მხარეები ამ პროცესში და ახლანდელ ეტაპზე.

სწორედ მიმდინარე წელს, ამხანაგებო, მომავალი არჩევნების, საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების კომპეტენციის გამიჯვნის შესახებ გადაწყვეტილებები, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის მიღების გადაულისწინებით ძნიშნელოვანწილად გადაწყდება საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის საკითხი. სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტეთ, რომ უკვე ამ ეტაპისათვის შეექმნათ საჭირო წანამძღვრები ქვეყნის ყველა რეგიონში ეკონომიკური ძლიერი კიდერების საბჭოებში ჩაბმისათვის. სწორედ ამიტომ, თუმცა ზოგიერთს სურს ეს სხვაგვარად განმარტოს, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ, მთელი სიძნელეებს მიუხედავად, გადავჭრათ აგრეთვე ამ მუშაკების ხელფასის საკითხიც, რადგან იგი ერთ-ნახევარჯერ, ზოგჯერ კი ერთიორად ნაკლები იყო იმათთან შედარებით, ვინც წარმოებაში შრომობს. არადა, ხომ სწორედ იქიდან მოდიან ყველაზე აქტიური, წიგნიერი და კომპეტენტური ადამიანები. სწორედ ისინი უნდა იყვნენ საბჭოებში, და არა ისინი, ვინც არსად საჭირო არ არის.

გარდაქმნის მოპყვა მძაფრი გარდამქმნელი პროცესები სულიერ სფეროში. აქაც, ისევე როგორც ცხოვრების სხვა სფეროებში, ისინი არაერთმნიშვნელოვნად, მე ვიტყოდი, წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. ეს დიდ განცდებსა და წუხილს იწვევს. მაგრამ მაინც, ყველა ხარვეზის მიუხედავად, მთავარი ტენდენცია აქაც შეიმჩნევა. ეს არის საზოგადოების სულიერი აღორძინება, სოციალისტური ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ბაზაზე ახალი ზნეობრივი ატმოსფეროს ფორმირება. სწორედ ეს მთავარი, ჯანსაღი ტენდენცია უნდა განვამტკიცოთ და გადაჭრით ვიბრძოლოთ ყოველგვარ ქაფს, ყველაფერს, რასაც გვერდიდან გვაჭიჭყნეს, რათა აამღვრიონ საზოგადოების ზნეობრივი აღორძინების პროცესი. და აქ არ უნდა ვირიდებოდეთ საგნებისათვის თავისი სახელების დარქმევას.

ცვლილებების დროს, არსებითად, მიმდინარეობს ცხოვრების კრიტიკულიზაციის, იმ ახალი ფორმების შექმნის პროცესი, რომლებიც განსაზღვრავენ, როგორც ვვარაუდობთ, საზოგადოების განახლების ხასიათს. ახლანდელი სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობის დროს ჩვენ, ალბათ, ყოველთვის ვერ ვაძნევთ ცვლილებების პირველ რეალურ შედეგებს, მაგრამ ისინი არის. ამასაც უნდა ვხედავდეთ, რათა არ დავიბნეთ: ყველაფერი ინგრევაო. ნგრევით ხომ ძველი ინგრევა. სხვა საქმეა, როცა იგი ეხება იმ მნიშვნელოვანს, ღირებულს, რაც წინა თაობებს შეუქმნია. აი ამას უნდა გავუფრთხილდეთ. დავიცვათ ჩვენი საერთო მეცდინეობით, არ მივცეთ ვინმეს ამის დარღვევის უფლება.

მიმდინარეობს, თუმცა სიძნელეებით, ჩვენი ეკონომიკის ხელახალი ორიენტაცია ადამიანის სხვადასხვაგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ეს გადამწყვეტი შემობრუნებაა, რომელსაც უნდა მივაღწიოთ. რა თქმა უნდა, ჩვენი უზარმაზარი ეკონომიკის ინერცია ისეთია, რომ შემობრუნებას დრო სჭირდება. ამ აუდიტორიაში არ მჭირდება ამაზე ბევრი ლაპარაკი. თუნდაც ერთი ქარხნის ხელახალი ორიენტაციის ან მისი მოდერნიზაციისათვის ხომ საჭიროა გზების განსაზღვრა, რესურსების გამოძებნა, ყოველივე ამის გაბრება და შემდეგ თვით შემუშავებული გეგმის პრაქტიკული რეალიზაცია. ახლა მოდით ვიფიქროთ ისეთ ვეებერთელა სოციალურ-ეკონომიკურ ორგანიზმზე, როგორიცაა საკავშირო ეკონომიკა, — აქ საჭიროა არა მარტო უდიდესი ძალისხმევა და დრო, არამედ უდიდესი პასუხისმგებლობაც.

და მაინც სტრუქტურული ძვრები დაიწყო. მათ სარგებლობა მოაქვთ სახალხო მოთხოვნილების საკმარისს მწარმოებელი და მომსახურების დარგებისათვის, უწინარეს ყოვლისა მსუბუქი, კვების მრეწველობისა და აგრარული კომპლექსისათვის. ჯერჯერობით კმაყოფილი არა ვართ იმით, თუ როგორ ხდება ეს, ამ მიმართულებით ასე ვთქვათ, შემობრუნების დონით.

აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტაში ახლა ვაბამთ მინანსთამშრომლობის დარგებს, თავდაცვით სექტორს, ჩვენს მეცნიერებს. თანდათანობით ძლიერდება ეკონომიკური სტიმულები საწარმოებისათვის, რომლებიც ზრდიან საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის. ახლა მოხმარებისა და არასაწარმოო შენებლობის მიზნებისათვის გამოყენებული ერთვნული შემოსავლის რესურსების წილმა მიაღწია, ამხანაგებო, 83 პროცენტს. მიმდინარე ხუთწლედის წინ ეს ციფრი 80 პროცენტის ფარგლებში იყო.

(გაგრძელება 80-ე გვ.).

# აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხებს

ამ მძიმე ჟამს მოგმართავთ თქვენ, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქეებს, მიგმართავთ თქვენს გონებასა და თქვენს გულს, თქვენს პასუხისმგებლობას თქვენი ხალხების, მთელი ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს ბედისათვის.

მწუხარებითა და გულისტკივილით აღიქვეს საბჭოთა ადამიანებმა ტრაგიკული ამბები, რომლებიც ბაქოსა და აზერბაიჯანის სხვა დასახლებულ პუნქტებში, აგრეთვე სომხეთის ზოგიერთ რაიონში მოხდა. დაღვრა სისხლი, ირეშა და რბევას მოჰყვა მსხვერპლი. იარაღისა და ტყვია-წამლის ხელში ჩაგდების მიზნით თავს ესხმიან სამხედრო ობიექტებს, შინაგან საქმეთა დაწესებულებებს. ყალიბდება ექსტრემისტთა ჯგუფები ორივე რესპუბლიკაში. ირღვევა წესდათწესიდა რან — სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი.

ექსტრემისტული ძალების უპასუხისმგებლო დანაშაულებრივი მოქმედება, სახტიკი ძალადობრობისა და ვანდალიზმის ფაქტები წარმოშობენ სამართლიან გულისწყრომასა და აღშფოთებას ქვეყანაში, ღრმა თანაგრძნობას უდანაშაულო მსხვერპლთადმი. გაჰაღებულ კონფლიქტში უწინარეს ყოვლისა იტანჯებიან ბავშვები, ქალები, მოხუცები, იღუპებიან თქვენი შვილები, ეწირებიან ქვეყანის სხვა ხალხების შვილებიც — სამხედრო მოსამსახურენი, სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები. უდიდესი ზარალი მოსდის სამალხო მეურნეობას. აფუნაზღაურებელი ზარალი აქვს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის თავად სულისკვეთებას — საბჭოთა ხალხების ოჯახის ზნეობრივ საფუძველს.

ახე გაგრძელება აღარ შეიძლება! უნდა შეგაჩეროთ რადაც უნდა დაგვიჯდეს მტრობა, ავგანგებობისა და ძალადობის ტალღა. არ ეკუთვნის შვილთ, რომ დაუხეკელად ხდებოდეს დანაშაულობანი, ითესებოდეს ტანჯვა და უბედურება ჩვენს მაწყეულზე. არავის არა აქვს უფლება გაბედოს საეკულაცია ეროვნულ გრძნობებზე, ადამიანებს უნიჭოს ბრმა ხიბლელისა და უგუნურებისაკენ. დღეგანდელი ტრაგედია, თუ მას არ ავაცილებთ, ხვალ შეიძლება ეროვნულ კატასტროფად იქცეს.

საბჭოთა ადამიანებმა გაგებით აღიქვეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქსა და აზერბაიჯანის, აგრეთვე სომხეთის ზოგიერთ სხვა რაიონში საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ. მათ იგი მიიჩნიეთ იძულებით, მაგრამ საკმაოდ გამართლებულ ნაბიჯად. ჩვენგან მოითხოვენ გადაწყვეტ ღონისძიებებს. და ქვეყნის ხელმძღვანელობა აცხადებს: ყველა საჭირო ღონისძიება განხორციელდება.

სკკ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოგიწოდებთ ყველა თქვენგანს — აზერბაიჯანელებსა და სომხებს, ქალებსა და მამაკაცებს, მხცოვან მოხუცებს, ახალგაზრდობას — უარად იღეთ გონების ხმა, ალაგმეთ ექსტრემისტები, ამხილეთ პროვოკატორები, შეიჩერეთ მოძალადეები, გონზე მოიყვანეთ მოტყუებულნი. მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ ქვეყნის ხელმძღვანელობის, სამართალდაცვითი ორგანოების, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საბჭოთა არმიის ჯარების, შეხანზღვრეების ძალისხმევას მშვიდობისა და მართლწესრიგის აღდგენისათვის.

სკკ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

**გაიმართა** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში შექმნილი მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების პირობებში სახალხო მეურნეობის ობიექტების შეუფერხებელ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ოპერატიული საკითხები, აგრეთვე ეკონომიკის გაჯანსაღების მთელი რიგი პრობლემები.

მოისმინეს სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების ინფორმაციები იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად როგორ სრულდება რესპუბლიკის რიგ რეგიონებში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებები. აღინიშნა, რომ მთელ რიგ უბნებზე მდგომარეობის სტაბილიზაციის მიუხედავად, კვლავ დაძაბული, მოხამმართული მუშაობა საჭირო იმისათვის, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიღახოს მოსახლეობის ინტერესები, გამართულად მუშაობდეს ტრანსპორტი, უზრუნველყოფილი იყოს მშრომელთა შეუფერხებელი მომარაგება სურსათ-სანოვაგით, ელექტროენერგიით, გაზით და სხვა აუცილებელი საქონლით, არ დაეშვას შეფერხებანი ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის, კომუნალური სამსახურების საქმიანობაში. ქმედითი ღონისძიებები დაისახა, რათა კიდევ უფრო გააქტიურდეს მუშაობა იმ სერიოზული დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც იანვრის მეორე დეკადიდან შეიქმნა სათბობ-საწვავით რესპუბლიკის მომარაგებაში და შრომითი ჯოლექტივების სამართლიან გულისწყრომას იწვევს, რესპუბლიკის ეკონომიკისათვის მიყენებულ საგრძნობ ზიანზე რომ არაფერი ითქვას.

მიღებულია დადგენილება საქართველოს სსრ საუბლიკაში სახალხო მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის გაუჯანსაღესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ შარშან ამ მხრივ გამოკვეთილი ზოგიერთი დადებითი ტენდენციის მიუხედავად, ფინანსური მდგომარეობა კვლავ რთული და არასახარბიელო. დიდია ვადაგადაცილებულ დავალიანებათა მოცულობა. ბევრგან სამეურნეო ხელმძღვანელები არ იყენებენ მეურნეობრიობის პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებს, არ გრძნობენ პერსონალურ პასუხისმგებლობას ფინანსური გაჯანსაღების პრობლემების გადაწყვეტისათვის. უფრო მეტიც, წლების მანძილზე რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების უმრავლესობა ბევრად მეტს ხარჯავდა, ვიდრე ფინანსური სახსრები გააჩნდა. ბევრი სამეურნეო ორგანიზაცია არ ასრულებს მოგების გეგმასა და სამეიგენტო ვალდებულებებს. მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდა კვლავ დიდად უსწრებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ფასიანი მომსახურების ზრდას. ბევრგან არ განხორციელებულა კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 13 მაისის გაფართოებული სხდომის გადაწყვეტილებით განსაზღვრული დავალების — სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთებისა და დებიტორული დავალიანების ინვენტარიზაციის უზრუნველსაყოფად და მრავალი სხვა. მიღებული დადგენილება იფიანსურ ბრუნვებს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას, რათა 1991 წლიდან ყოველმხრივ ხელშემწყობი წანამძღვრები შეექმნას მთლიანად რესპუბლიკისა და ცალკეული რეგიონების გადაყვანას სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

დამტკიცებულია საცხოვრებელი სახლებისა და ბინების მოქალაქეებისათვის პირად საკუთრებაში მიყიდვის, მათი მოვლისა და შეკეთების ხარჯების ანაზღაურების ახალი დებულება. იგი ითვალისწინებს ადრე არსებული წესის გამარტივებას, ამასთან ადრინდელთან შედარებით საგრძნობლად მცირდება ბინების შესყიდვისა და სხვა მომსახურების ხარჯები, რაც დადებით გავლენას მოახდენს მშრომელთა ბიუჯეტზე. დადგენილებამ ამ საკითხზე ცალკე გამოქვეყნდება.

მიღებულია დადგენილება ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შეთანხმების თაობაზე მეგობრობისა და ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის, კომუნალური სამსახურების საქმიანობაში. ქმედითი ღონისძიებები დაისახა, რათა კიდევ უფრო გააქტიურდეს მუშაობა იმ სერიოზული დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც იანვრის მეორე დეკადიდან შეიქმნა სათბობ-საწვავით რესპუბლიკის მომარაგებაში და შრომითი ჯოლექტივების სამართლიან გულისწყრომას იწვევს, რესპუბლიკის ეკონომიკისათვის მიყენებული საგრძნობ ზიანზე რომ არაფერი ითქვას.

მიღებულია დადგენილება საქართველოს სსრ საუბლიკაში სახალხო მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის გაუჯანსაღესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ ბოლო ამ მხრივ გამოკვეთილი ზოგიერთი დადებითი ტენდენციის მიუხედავად, ფინანსური მდგომარეობა კვლავ რთული და არასახარბიელო. დიდია ვადაგადაცილებულ დავალიანებათა მოცულობა. ბევრგან სამეურნეო ხელმძღვანელები არ იყენებენ მეურნეობრიობის პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებს, არ გრძნობენ პერსონალურ პასუხისმგებლობას ფინანსური გაჯანსაღების პრობლემების გადაწყვეტისათვის. უფრო მეტიც, წლების მანძილზე რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების უმრავლესობა ბევრად მეტს ხარჯავდა, ვიდრე ფინანსური სახსრები გააჩნდა. ბევრი სამეურნეო ორგანიზაცია არ ასრულებს მოგების გეგმასა და სამეიგენტო ვალდებულებებს. მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდა კვლავ დიდად უსწრებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ფასიანი მომსახურების ზრდას. ბევრგან არ განხორციელებულა კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 13 მაისის გაფართოებული სხდომის გადაწყვეტილებით განსაზღვრული დავალების — სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთებისა და დებიტორული დავალიანების ინვენტარიზაციის უზრუნველსაყოფად და მრავალი სხვა. მიღებული დადგენილება იფიანსურ ბრუნვებს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას, რათა 1991 წლიდან ყოველმხრივ ხელშემწყობი წანამძღვრები შეექმნას მთლიანად რესპუბლიკისა და ცალკეული რეგიონების გადაყვანას სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

დამტკიცებულია საცხოვრებელი სახლებისა და ბინების მოქალაქეებისათვის პირად საკუთრებაში მიყიდვის, მათი მოვლისა და შეკეთების ხარჯების ანაზღაურების ახალი დებულება. იგი ითვალისწინებს ადრე არსებული წესის გამარტივებას, ამასთან ადრინდელთან შედარებით საგრძნობლად მცირდება ბინების შესყიდვისა და სხვა მომსახურების ხარჯები, რაც დადებით გავლენას მოახდენს მშრომელთა ბიუჯეტზე. დადგენილება ამ საკითხზე ცალკე გამოქვეყნდება.

მიღებულია დადგენილება ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შეთანხმების თაობაზე მეგობრობისა და ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის, კომუნალური სამსახურების საქმიანობაში. ქმედითი ღონისძიებები დაისახა, რათა კიდევ უფრო გააქტიურდეს მუშაობა იმ სერიოზული დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც იანვრის მეორე დეკადიდან შეიქმნა სათბობ-საწვავით რესპუბლიკის მომარაგებაში და შრომითი ჯოლექტივების სამართლიან გულისწყრომას იწვევს, რესპუბლიკის ეკონომიკისათვის მიყენებული საგრძნობ ზიანზე რომ არაფერი ითქვას.

მიღებულია დადგენილება საქართველოს სსრ საუბლიკაში სახალხო მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის გაუჯანსაღესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ შარშან ამ მხრივ გამოკვეთილი ზოგიერთი დადებითი ტენდენციის მიუხედავად, ფინანსური მდგომარეობა კვლავ რთული და არასახარბიელო. დიდია ვადაგადაცილებულ დავალიანებათა მოცულობა. ბევრგან სამეურნეო ხელმძღვანელები არ იყენებენ მეურნეობრიობის პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებს, არ გრძნობენ პერსონალურ პასუხისმგებლობას ფინანსური გაჯანსაღების პრობლემების გადაწყვეტისათვის. უფრო მეტიც, წლების მანძილზე რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების უმრავლესობა ბევრად მეტს ხარჯავდა, ვიდრე ფინანსური სახსრები გააჩნდა. ბევრი სამეურნეო ორგანიზაცია არ ასრულებს მოგების გეგმასა და სამეიგენტო ვალდებულებებს. მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდა კვლავ დიდად უსწრებს სახ

# გარდაქმნას—საქმეთა ენერგია

(გაგრძელება)

ხუთწლედის განვლილი წლების მანძილზე დიდძალი სახსრები გამოიყოფოდა ბინების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის. მათი საშუალო მოცულობა მესამედითა და მეტად გაიზარდა. რას ნიშნავს ეს, ამხანაგებო? რა მოგვიტანა ამან ჩვენ, ჩვენს ცხოვრებას?

საბინაო მშენებლობის საშუალო-წლიური მოცულობა გაიზარდა 16 პროცენტით. და ოთხ წელიწადში დადგენილი დავალების გადაჭარბებით აშენებულია 11,3 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ეს დამატებით დაახლოებით 200 ათასი ახალი ბინაა. ოთხ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცა მეტი სკოლა, პოლიკლინიკა და კლუბი, ვიდრე წინა ხუთ წელიწადში, ესე იგი ოთხი წლის მანძილზე უკვე თითქმის ერთი წელი მოვიგეთ. ამასთან სოფლად ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემა საშუალოდ წელიწადში გაიზარდა 19 პროცენტით, სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების, კლუბების, კულტურის სახლებისა — 26-59 პროცენტით, პოლიკლინიკებისა — ერთნორად.

იმ ოჯახების რიცხვი, რომლებსაც ახლა ნაკვეთები აქვთ კოლექტიურ ბაღებში — აქ კი, როგორც იტყვიან, უბრალოდ ბუმია, — პრაქტიკულად ერთიორჯერ გაიზარდა! ამ წლების მანძილზე მოსახლეობისათვის საბინაო მასალების მიყიდვა დაახლოებით ერთიორჯერ გაიზარდა, თუმცა, ალბათ, ვეტყვით: მაინც ჭირს ცემენტის, აგურის, და გასხაკუთრებით ყოველივე იმის ყიდვა, რაც ხე-ტყესთან არის დაკავშირებული.

ამ ცვლილებების კონსტატაციის დროს უნდა ვიფიქროთ, როგორ გავზარდოთ კვლავაც ისინი, განვაგრძოთ ფრიად მნიშვნელოვანი მიმართულებანი, რომლებიც უშუალოდ ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება. პირველად მრავალი წლის მანძილზე მოხმარების საგნების წარმოება უსწრებს წარმოების საშუალებათა მწარმოებელი მრეწველობის ზრდას. ეს მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკისათვის, რადგან იგი სწორედ სხვა მიმართულებით იყო ორიენტირებული. და აი შედეგიც — 1988 წელს საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გაიზარდა 23 მილიარდი მანეთით, გასულ წელს კი კიდევ 37 მილიარდი მანეთით. წინათ ეს ციფრები სადღაც 8-10, მაქსიმუმ 15 მილიარდის ფარგლებში იყო.

საბჭოთა ოჯახებს გაუჩნდათ მეტი ხანგრძლივი სარგებლობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები: ფერადი ტელევიზორები — 1,7-ჯერ, მაგნიტოფონები — 30 პროცენტით მეტი. მეტია მსუბუქი ავტომობილები, მაცივრები და ა. შ. ამ ციფრებს ვასახელებ, ჩამოთვლი, როგორც იტყვიან, „ნატურით“ იმიტომაც, რომ არის ახლა ასეთი აზრი (რა თქმა უნდა, ჩვენი ეკონომისტების კარნახით): ნეტავ რისთვის ასახელებ ზრდას პროცენტობით, თანაც ფულადი გამოსახულებითო. ყოველივე ეს ფასების მომატების გზით ხდებაო. სწორედ იმიტომ ვასახელებთ ნატურალურ მაჩვენებლებსაც, რომ ეს უკვე თავისთავად მოწმობს. და მინდა მოვიყვანო ნატურალური მაჩვენებლები! — რომლებიც სასურსათო სექონელს ეხება.

1985 წელს სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან დამზადდა 9,6 მილიონი ტონა ხორცი. 1989 წელს წარმოებულია 11,4 მილიონი ტონა ხორცი — ესე იგი 1,8 მილიონი ტონით მეტი. პირუტყვი კი არა, ხორცი. ერბოკარაქი წარმოებული იყო, შესაბამისად, მილიონ-ნახევარი ტონა, შარშან კი — მილიონ 700 ათასი. მოუხდელი რძის პროდუქცია შესაბამისად — 29,5 და 33,8 მილიონი ტონა, ჭარხლის ფხვნილი შაქარი — 7,6 და 8,8 მილიონი ტონა, ზეთი — 2,4 და 3 მილიონი ტონა. ყოველივე ამან ქვეყანაში მოსახლეობის მატების გათვალისწინებით შესაძლებლობა მოგვცა რამდენადმე გავგვიზარდა სულობრივი მოხმარება. იგივე ეხება მსუბუქი მრეწველობის ბევრი სახეობის პროდუქტებსაც.

ეხლა, თქვენ უკვე გაქვთ კითხვა. ვიცი, თქვენ ამ კითხვით ჩამოხვედით. სწორედ ასევე საკუთარ თავს ვუსვამთ ამასთავე კითხვას, ვცდილობთ გავერკვეთ: მაშ რაღას უკავშირდება სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობა საზოგადოებაში? მოდით ამ თანმიმდევრობით ყურადღება დავუთმოთ ამას, რომ გამოვავლინოთ ყველა ზამბარა და შევიმუშაოთ ერთობლივი მ. გორა — რა უნდა ვაკეთოთ.

ამრიგად, იბადება კითხვა — ეს „ნატურა“ რატომ არ შეიმჩნევა ბაღაზიების დახლებზე? სწორედ ეს არის ზოგადი კითხვა, რომელ- ყველას გვაწუხებს. რატ. არის, რომ დეფიციტი კი არ მცირდება, პირიქით იზრდება? რატომ არის, რომ ნორმალური ვაჭრობის ნაცვლად სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ტალონებით, დაწესებულებებში, საწარმოებში შეკვეთებით ვაჭრობის პრაქტიკა?

სწორედ ასეთი ვითარების მიზეზების ანალიზზე ვმუშაობთ. დიახ, არის ობიექტური ხასიათის სიძნელეები, რომლებმაც შეამცირეს ჩვენი შესაძლებლობანი საქონლის ზრდის საქმეში. ისინი გაჭირდება უფრო მეტი, ვიდრე გაწარმოებთ, წარმოება უნდა გაეზარდოთ.

არის დანაკარგები ნავთობის ფასების შეცვლასთან, სტიქიურ უბედურებებთან და სხვა ამბებთან დაკავშირებით. მაგრამ საქმე არა მარტო და არა იმდენად ეს არის. ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, რა თქმა უნდა, მრეწველობის მუშაობა საქონლის წარმოებისა და მომსახურებისათვის. ეს უმთავრესია. არ გვაკმაყოფილებს შედეგებიც აგრარულ სექტორში. გფიქრობ, ამის თაობაზე გაიმართება სწორედ სხა-ბაასი დღეს და ხვალ. საჭიროა გამოვარკვიოთ, რა უნდა გავაკეთოთ ახლა გადაუდებლად — ყველამ ჩვენ, ყველგან. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ სასურსათო მომარაგებაში ვაწყდებით ასეთ სიტუაციას — რუსეთის ფედერაციის 32 ოლქში ამ წლების მანძილზე მდგომარეობა სერიოზულად გაუჯანსაღდა, კერძოდ, მეცხოველეობის დარგების წარმატებული განვითარების ხარჯზე. წარსულში ძალზე მძიმე ოლქებშიც კი დღეს როგორღაც შეცვალეს ვითარება ბაზარზე. ავიღოთ მთელი შავმიწანადაგიანი ზონა — საკმაოდ ინტენსიური მუშაობის შედეგად აქ გაუმჯობესდა სიტუაცია მომარაგებაში. ალბათ, ამხანაგები დაადასტურებენ ამას. ანდა, ავიღოთ ჩრდილოეთ ზონა — ეს ადგილები ადრე ყოფილა. და მიუხედავად ამისა, განსხვავება დიდია, და მაკრატელი კი არ ვიწროვდება, არამედ ფართოვდება. შეგვიძლია თუ არა საკითხი დავსვათ ისეთნაირად, რომ უნდა შევაჩეროთ ხელფასის ზრდა? შევაკავოთ, შევაფერხოთ? საკითხის ასეთი დაყენება, ვფიქრობ, გარდაქმნის პოზიციიდან, ჩვენი სოციალისტური სოციალური პოლიტიკის პოზიციიდან არ ვარგა. მაგრამ რა ვარგა და რა უნდა ზორაკილდებოდეს მტკიცედ — ეს არის ის, რომ უნდა გადავიხადოთ რეალური შედეგებისათვის, საბოლოო პროდუქტებისათვის. რახან საქონელი და მომსახურება სულ სხვა ტემპით იზრდება, ვიდრე ხელფასი, მასშასადამე, ვიხდით არა საბოლოო პროდუქტისათვის. ამრიგად, ეტყობა, საწარმოთა დამოუკიდებლობა და ფონდების განკარგვა ისეთნაირად ხდება, რომ ფული ხმარდება უწინარეს ყოვლისა ხელფასს. მე მხოლოდ აზრს გთავაზობთ იმისათვის, რომ გამოთქვათ ამისადმი თქვენი დამოკიდებულება, თქვენი შეფასებანი.

1989 წელს ფულადი შემოსავალი 13 პროცენტით გაიზარდა. აი რატომ დაგვჭირდა სამომხმარებლო ბაზარზე მდგომარეობის გაჯანსაღებანი, ფინანსებისა და საერთოდ მთელი ეკონომიკის გაჯანსაღების გადაუდებელ ღონისძიებათა პროგრამა, პროგრამა, რომელიც მთავრობამ შეიმუშავა და განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინა სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობას — და თქვენ გახსოვთ, რა მხურვალედ განიხილავდნენ მას და აზრთა რამდენად დიდი პოლარიზაცია იყო იქ, მის შეფასებაში. მიუხედავად ამისა, პროგრამა განხილულია, შევსებულია, გამდიდრებულია დეპუტატთა აზრებით და მოწონებულია. იმედი მაქვს, რომ ამ საკითხზეც გამოთქვამთ თქვენს აზრს, და უწინარეს ყოვლისა იტყვით საკუთარ აზრს, რა უნდა გავაკეთოთო, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რათა პროგრამაც პაერში გამოკიდებული არ დარჩეს.

იმაზე, თუ როგორ წარმართება საქმეები წლეულს, როგორ გავართვეთ თავს წლის დასაწყისში ამოცანებს, მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ისიც, თუ რა მიმართულებით განვითარდება სიტუაცია სამომხმარებლო ბაზარზე და საერთოდ მთელი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, როგორ წარმართება ჩვენთან რეფორმა. წლეულს უნდა მივიღოთ ძალზე მნიშვნელოვანი კანონები საკუთრების, მიწის, გადასახადების, საწარმოს, თვითმმართველობის შესახებ. ყოველივე ამან მძლავრი ბიძგი უნდა მისცეს ეკონომიკურ რეფორმას. და ამ თვალსაზრისით — გთხოვთ იფიქროთ ამაზე.

ყველა შრომითს კოლექტივში, მრ რთველობისა და ხელისუფლების ყველა ორგანოში, ცენტრშიც და ადგილებზეც, მთელი ჩვენი მუშაობა უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს ხალხის ცხოვრებისათვის, გარდაქმნის დასაწყისთან. აი იგი — მიმდინარე წელს ჩვენი მომავალი მუშაობის ფასი.

ჩვენ ერთმანეთს უნდა გავუზიაროთ აზრი იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ უფრ უ სწრაფად შესაძლებლობანი, რომლებსაც ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები სახავს. არ შეიძლება უყურადღებოდ დატოვოთ ის ფაქტი, რომ შარშან, როცა მრეწველობაში პროდუქციის მოცულობის მატების ტემპი 1,7 პროცენტი იყო, საიჯარო კოლექტივებში ამ მატებამ 5,8 პროცენტი შეადგინა. აი რატომ არის, რომ რეფორმის თემა, შეიძლება, ჩვენი ცენტრალური თემაც კი იყოს.

იგივე ხდება სოფლის მეურნეობაშიც. იმავე რესურსების პირობებში მოიჯარეებს პროდუქციის წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების მატების ტემპი ერთნახევარჯერ მეტი აქვთ. მაგრამ საიჯარო კოლექტივები ცოტაა. საქმე მარტო იჯარა როდია. არის სხვა ფორმებიც: სანარდო, ღრმა სამეურნეო ანგარიშით, პირადი და კოლექტიური დაინტერესების მძლავრი სტიმულები, და ესეც დაახლოებით ასეთსავე შედეგებს იძლევა. მაშ ასე, ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, როგორ წარმართოთ საქმე, რა მიმართულებით განვავითაროთ რეფორმა. უნდა ავითვისოთ მეურნეობრიობის ახალი ფორმები, ადამიანის პასუხისმგებლობისა და მისი როლის სტიმულირების ახალი სისტემები. მაგრამ მრეწველობაშიც, აგრარულ სექტორშიც მეურნეობრიობის ახალი ფორმებით მოუშავე კოლექტივების წილი ჯერჯერობით ძალზე მცირეა.

რა უნდა გაკეთდეს, თქვენი აზრით, რათა დავაჩქაროთ მეურნეობრიობის ახალ ფორმებზე გადასვლა? ვიმედოვნებთ, რომ ილაპარაკებთ ამის თაობაზეც. მოდით, მოვითათბიროთ, რა უნდა ვქნათ, რათა მოვსპოთ ყველა დაბრკოლება ღრმა ეკონომიკური რეფორმის, ინიციატივის განვითარების გზაზე. უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს აზრი იმ ღონისძიებათა თაობაზე, რომლებიც საჭიროა შევიღოთ, რათა უკვე ახლანდელ ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ სრულად არ არის ამოქმედებული სამეურნეო ანგარიშის პრინციპები, მნიშვნელოვნად შევამციროთ დანაკარგები, რომლებიც გვაქვს უყაირათობის, მფლანგველ ობ ი ს, შრომის და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის გამო.

ერთი სიტყვით, ჩვენ წინაშე დგას წესრიგის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ამოცანა, და არა მარტო ეკონომიკაში, არამედ საერთოდ ჩვენს საზოგადოებაში, ქვეყანაში. ეს საერო დიდ შეშფოთებას იწვევს. ადამიანები პირდაპირ ამბობენ: რაო, გარდაქმნას თან სდევს უწესრიგობის და დეზორგანიზებულობის ზრდა? თუ ჩვენ რაღაცას ისე ვერ ვაკეთებთ და ამით ვართულებთ ცხოვრებას საზოგადოებაში, საეკვოს ვხდით იმ პოლიტიკას, რომელიც ჩვენ, ყაცმა რომ თქვას, გვჭირდება, ჩვენ ვიცით ეს, დავწმუნდით? ვიმედოვნებ, რომ ამ დღეებში ჩვენ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რა უნდა გავაკეთოთ თვით შრომითს კოლექტივებში, რა უნდა გავაკეთოთო ოლქებისა და რესპუბლიკების დონეზე და რა უნდა გაკეთოს ცენტრმა. რადგან როცა ცენტრში ამბობენ, ადგილებზე ცუდად მოქმედებენო, ეს, ამხანაგებო, ვფიქრობ, შორს არის ჭეშმარიტებისაგან. ხოლო როცა ადგილებზე წამდაუწუმს ამბობენ, რას ფიქრობს იქ ცენტრი, სად არის მთავრობაო? — ესეც ჯერ კიდევ ჭეშმარიტება არ არის. ამბობენ, ჩამოვიდნენ მთავრობის წევრები, თავმჯდომარე და დაამყარონ წესრიგი, რათა ქალაქი სუფთა იყოს, რათა საქალაქო ტრანსპორტი მუშაობდესო — რა რეფორმაზეა ამ შემთხვევაში საუბარი, რა დამოუკიდებლობასა და თვითმმართველობაზე, თუ უნდა გაეგმგზავრო კონკრეტულ ქალაქსა და რაიონში და ყველაფერი მოაწყო?

ალბათ შევეჩვიეთ იმას, რომ ყოველ საკითხზე ცენტრს მივაშურებთ ხოლმე. მოგვეცით მზა გადაწყვეტილება ზემოდან — მორჩა და გათავდა. არა, ეს დრო დამთავრდა. რადგან ასეთი მიდგომით უკვე ცნობილია, სად აღმოვჩნდით. რა თქმა უნდა, იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ცენტრი, ძალზე ზევრი რამ არის დამოკიდებული. თუ იქნება ძველი ინსტრუქციები, თუ ძველ კანონებს შევინარჩუნებთ, თითოეულ კოლექტივს, მშრომელ კაცს ვუელავეთ, საქმე არ გამოვა. ეს რომ არ იყოს — ამისათვის ცენტრი საკუთარი თავით აგებს პასუხს.

მაგრამ შემდეგ: რესპუბლიკა, რაიონები, ქალაქები, შრომითი კოლექტივები უნდა მოქმედებდნენ, უნდა მოქმედებდნენ კადრები. რატომ არის, რომ ზოგიერთთან თხთი წლის მანძილზე, ჯერ კიდევ მრავალი დიდნაწილნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე დიდი ხნით ადრე, მოხდა ძირეული ცვლილებანი, სხვებთან კი, როგორც იტყვიან, არაფერი არ მომხდარა, ფითქოსდა რაღაც შეგნებული სპორტაკია? ადამიანები ხედავენ და ამბობენ — იქ სადღაც ხმაურობენ, მსჯელობენ გარდაქმნაზე, სადღაც რაღაც ხდება, ჩვენთან კი არაო. ყოველივე ეს, ამხანაგებო, უნდა გავიაზროთ დღეს. და არა მარტო, როგორც იტყვიან, „ვეძებოთ განტევების ფაცი“ — ეს ჩვენ ვიცით, ჩვენ ამაში დიდი სპეციალისტები ვართ.

მოდით მოვიფიქროთ, რა უნდა ვქნათ ერთად, შრომის განაწილების შედეგი, ჩვენი უზარმაზარი და რთული საზოგადოებრივი ორგანიზმის მართვის ყოველ ოგლში, რათა წინ სხვა ნაბიჯი ვიაროთ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვტაკეზოთ ერთი ადგილი, ასეთ მდგომარეობაში ვეღარ დავრჩებთ.

რესურსების მოცულობა ჩვენთვის ცნობილია. აღარავინ აღარაფერს არ მოგვცემს. მიუხედავად ამისა რესურსები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, უდიდესია. მაგრამ მათ ვეღარ დავხარჯავთ ისე, როგორც ვხარჯავდით ადამდე. თუ ავიღებთ ეროვნული შემოსავლის ერთეულზე რესურსების ხარჯვას ჩვენში და განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სხვაობა არ არის ჩვენს სასარგებლოდ. დაახლოებით 25 პროცენტით მეტს ვხარჯავთ ენერგიასა და მატერიალურ რესურსებსაც, ცემენტს, მეგონი, ორჯერ მეტს, ეროვნული შემოსავლის ერთეულზე, ვიდრე ისინი. აი აქ არის სწორედ ჩვენი რესურსები. მაშ, მოდით ვიფიქროთ ტექნოლოგიაზე, მეურნეობრიობის წესზე, ყაირათიანობაზე. ჩვენმა სივრცემ, ჩვენმა სიმდიდრემ, როგორც იტყვიან, გაგვრყვნა. ამას ვერფრით ვერ უარვყოფთ, ეს უბრალოდ მთელი ჩვენი ეკონომიკის, მთელი ჩვენი მუშაობის უბედურებაა. ამიტომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადავდეთ სრულ სამეურნეო ანგარიშზე ყოველ საწარმოში, რათა ყველა ცხოვრობდეს იმის შესაბამისად, თუ როგორ გამოიყენებს რესურსებს: კარგად გამოიყენებენ — მოგება დიდია, ცუდად გამოიყენებენ — „იწვიან“, შეიძლება გაკოტრდნენ კიდეც. ესეც ყველასათვის ფიქრის საგანი უნდა იყოს. უნდა შევცვალოთ საქმისადმი დამოკიდებულება.

რა თქმა უნდა, პირდაპირ ვიტყვი: როცა ჩავებით ეკონომიკურ რეფორმაში და შევუდექით საკუთრებითი ურთიერთობის რეფორმას, ვეძებთ მეურნეობრიობის ახალ ფორმებს, ჩვენ ერთგვარად შევასუსტეთ ის, რასაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვაპყრობდით გარდაქმნის დასაწყისში — შევანელეთ ყურადღება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნოლოგიების ათვისებისადმი. უამისოდ კი საქმეს წინ ვერ წაიწევთ. ეს ერთიანი პროცესის ორი მხარეა. ერთიც და მეორეც თვალთახედვის არეში უნდა გქონდეს.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ ეგრეგალიანობას. ყველგან უნდა ვიმოქმედოთ დიდი ჭკუით, უკეთესი ორგანიზაციით, უფრო ეფექტიანად. ახლა, როგორც არასდროს, გვჭირდება საერთო ძალისხმევა — განხეთქილება და კონფრონტაცია კი არა, არამედ საზოგადოების კონსოლიდაცია, მთელი ძალები უნდა მოვახმაროთ იმ კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც აუცილებლად უნდა გადავჭრათ ახლანდელ პასუხსაგებ წელს.

ჩემს გამოსვლაში შეგნებულად ვამახვილებ ყურადღებას საზოგადოებაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს არის ჩვენი მუშაობის ცენტრალური პუნქტი, რადგან წარმოების სფეროს სქემები პირდაპირ უკავშირდება ადამიანების ცხოვრების პირობებს, მათს გუნება-განწყობილებას. მაგრამ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაშიც კი ჩვენი ადამიანები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ყოველივე იმისადმი, რაც ქვეყანაში ხდება. მათ სურთ დაწვრილებით გაერკვნენ დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესებში; რა აზრს აქ სასარგებლო, და რა ნაკლი აქვს ესოდენ მნიშვნელოვან პროცესს, ურომლისოდაც სოციალიზმი ვერ იარსებებს. როგორი უნდა იყოს განახლებული საბჭოთა ბის როლი და როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ მშრომელებმა მათს საქმიანობაში? როგორი იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ქვეყნის ღრმა პოლიტიკური ცვლილებების პირობებში? რა უნდა ვქნათ, რომ ახალი სიცოცხლე შთაბეროთ საბჭოთა ფედერაციას? ესეც უნდა გადავწყვიტოთ, იმიტომ, რომ მხოლოდ ცვლილებების, ფედერაციის პოტენციალის გამოვლენის გზით გავამართლებთ ყველა ეროვნების ადამიანების, ყველა ხალხის იმედებსა და სურვილებს. სხვა გზა არ გვაქვს. თქვენ ხედავთ, რომ ბევრი პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს, იმიტომ, რომ გადმოიფრქვა პრობლემები, რომლებიც ათწლეულობით, ზოგან კი ასწლეულობით გროვდებოდა. ისინი იქნენ ისეთ ხასიათსაც, როგორსაც ვაწყდებით ბალტიისპირეთში, მოლდავეთში. და არა მარტო ასეთს: ნახეთ, როგორი დრამატული ფორმით მიმდინარეობს ეროვნებათშორისი შუღლი ამიერკავკასიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში. ყველაფერი ეს ჩვენ მეტად გვაწუხებს. ვაბორკილებთ უაღრესად მტკიცე ღონისძიებებს, რათა შევაჩეროთ სისხლისღვრა. ძალასაც კი გამოვიყენებთ ექსტრემიზმის, ვანდალიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ მიუხედავად იმ ღონისძიებებისა, რომელთა განხორციელებაც გვიწევს ზოგჯერ, რათა ჩავაქროთ და შევანელოთ სიმწვავე ეროვნებათაშორის ურთიერთობაში, მთავარი მიმართულება უცვლელი რჩება — საბჭოთა ფედერაციის განვითარება. სწორედ ამ გზით უნდა გავაუმჯობესოთ ადამიანების ეროვნული და სოციალური განწყობილება.

ადამიანები ხედავენ, რომ ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდა მერყეობის, ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროცესების მართვის, დისციპლინისა და წესრიგის შესუსტების ელემენტები. ალბათ, ეს

# გარდაქმნას—საქმეთა ენერგია

(გაგრძელება)

ამავე დროს განაცხადა ორატორმა, არიან ადამიანები, რომლებსაც არ სურთ ხელი გაუხსნან მეშახტეებს. ალბათ, ეს ისინი არიან, რომლებიც მიეჩვევნენ არაფერი შექმნან და მხოლოდ გაანაწილონ მატერიალური სიკეთე, ეშინიათ დაკარგონ მოსკოვის თბილი კაბინეტები. იმისათვის, რომ რეგიონმა შეძლოს სახალხო მოხმარების საქონლით თავის უზრუნველყოფა, მუშის აზრით, საჭირო, სანამ საკმარისად განვითარდება საკუთარი მსუბუქი მრეწველობა, მიეცეთ მეშახტეებს უფლება გაასაღონ ქვანახშირის ნაწილი საზღვარგარეთ, ამოგებული სახსრებით კი შეიძინონ საჭირო პროდუქცია.

ორატორმა ყურადღება მიაპყრო ყარაღანდისა და ფემირთიაუს მწვავე ეკოლოგიურ პრობლემებს, წამოაყენა მოთხოვნა, დაიხუროს სემიპალატინსკის ბირთვული პოლიგონი.

გავუგოთ ერთმანეთს, გავაერთიანოთ ძალები მთელი დაგროვილი პრობლემების გადასაჭრელად — ასეთია თითბირის მთავარი მიზანი, მიიჩნია კიშინიოვის საწარმოო გაერთიანება „მოლდავიპიდრომანქანის“ ზეინკალს **პ. გ. ვასილოს.**

ცარიელი დახლები გულისწყრომას იწვევს, განაცხადა მუშამ. ვამოდის, რომ არ შეგვიძლია საკუთარი თავის დაკმაყოფილება იაფი და ხარისხიანი საჭმელი ქალაქში. როგორ გამოვასწოროთ მდგომარეობა? უწინარეს ყოვლისა, მიიჩნია ორატორს, უნდა მოწესრიგდეს დაბეგვრისა და სახელმწიფო ბიუჯეტში ანარიცხების სისტემა. საწარმოს არ უნდა ჰქონდეთ მოგებიდან ანარიცხების განსხვავებული ნორმატივები, მოგებაც თავად უნდა განვკარგოთ. ეგმთ გაუთვალისწინებელი პროდუქციის დაბეგვრა საერთოდ არ შეიძლება, რადგან ეს სტიმულს არ აძლევს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

შეეხო რა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში კოოპერატივების საქმიანობას, ორატორმა გამოთქვა აზრი, რომ ისინი უნდა ფუნქციონირებდნენ მხოლოდ ფაბრიკებთან და ქარხნებთან და პროდუქციას ასაღებდნენ სახელმწიფო ფასების დონეზე.

შემდეგ იგი შეეხო სასურსათო პროდუქტების წარმოების პრობლემას. მოლდავეთში მოპოვებენ ბევრი ბოსტნეული და ხილი, მაგრამ მოსავლის დაახლოებით ოცდაათი პროცენტი იღუპება. აგრომრეწვის საწარმოები და მეურნეობები უნდა აღიჭურვოს თანამედროვე მოწყობილობით და მაცივრებით. ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა შეიძლება არარენტაბელური კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდი საწარმოების შემადგენლობაში შეყვანის გზით. სარგებლობა ორმხრივი იქნება — მუშები მიიღებენ პროდუქტებს, გლეხები კი ვამოასწორებენ მეურნეობების ფინანსურ მდგომარეობას.

ერთი სიტყვით, თქვა ბოლოს ორატორმა, მუშები, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ გარდაქმნას, მას არავის დაიჩაგვრინებენ, არავის დაალუპვინებენ.

მე სამმოცეულ მრეწველობის იმ დარგის წარმომადგენელი ვარ, თქვა ნოვოსიბირსკის მკერავთა პროფკავშირის უფროსმა **ე. ბარდონოვმა.** სიხარულით იმიტომ, რომ ჩვენმა პარტიამ აღიდგინა მუშებთან და გლეხებთან ბჭობის ლენინური ტრადიციები. შიშით— ჩვენი, სწორედ ჩვენი გარდაქმნის ბედისათვის, რადგან ჩვენ, მშრომელები, უპირველესად ვართ დაინტერესებული მისი წარმატებით.

სამწუხაროდ, გარდაქმნას ჰყავს მოწინააღმდეგეები. მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აირჩიეს თავიანთი თავდასხმების ობიექტად. ყოველგვარი არაფორმალური, აგრეთვე სახალხო ფრონტები ისე იქცევიან თითქოს მხოლოდ ისინი მოქმედებდნენ მშრომელთა ინტერესებისათვის, ხოლო პარტია უკეთესი ცხოვრებისაკენ წინსვლის მუხრუჭი გამხდარიყოს.

რა თქმა უნდა, თქვა შემდეგ ინჟინერმა, უფრო გაბედულად უნდა წარვმართოთ გარდაქმნა თვით პარტიაშიც, გადავსინჯოთ მისი წესდება და პროგრამა, მოვახდინოთ შინაპარტიული ურთიერთობის მაქსიმალური დემოკრატიზაცია, თავიდან მოვიშოროთ გაუმართლებელი ცენტრალიზმის „თრომბები“. უნდა გადავსინჯოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა სტატუსიც. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნგრევა. ეს ხომ მარტო შინაპარტიული საქმე არ არის. ამის მიღმა ჩვენი სახელმწიფოს ბედი, თითოეული ადამიანის ბედია.

შეეხო რა ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემებს, ორატორმა თქვა, რომ მთელი ქვეყანა შეძრა აგრესიულმა ნაციონალიზმმა. ჩვენი მუშების მტკიცე აზრია: ასეთ გამოვლინებებს საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ.

ირკუტსკის ოლქში არსებულ სოციალურ პრობლემებს შეეხო საწარმოო გაერთიანების „ბრატსკლესის“ ბრიგადირი **ს. ე. ჯოლუბევი.**

მღელვარედ ილაპარაკა მან თავის დარგში შრომის ნაყოფიერების არასამგარისი ზრდის მიზეზებზე.

ოდესის ოლქის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის კოოპერატივთა ასოციაციის თავმჯდომარის **ა. ნ. დიკუსარის** აზრით, სახელმწიფოებრივ ... ზე ხდება ცუდი მეურნეობის ტიმულირება, რის გამოც იზრდება სხვისი მოიმედობა. რამდენიმე წლის წინათ სოფლის მშრომელებს ერთბაშად 50 პროცენტით გაუზარდეს ფასდებები. მაგრამ ამის შედეგად შრომის ნაყოფიერება არ გაზრდილა, ჩვენს მეურნეობაში ყველა ქვეგანაყოფი გადავიყვანეთ სამეურნეო ანგარიშზე, და გამოირკვა: ვინც ცუდად მუშაობს, ის ცოტას იღებს.

ორატორმა ილაპარაკა ზოგიერთი საგარეო-საგაჭრო უწყების უგერგილობაზე. მისი აზრით, სოფლის მეურნეობას ძირს უთხრის საზღვარგარეთ ზოგიერთი არაგონივრული შესყიდვა. მაგალითად, შარშან ზაფხულში შეიძინეთ დიდძალი პამიდორი, ხახვი, ნიორი, რომელთა მოსავალი საკმარად უხვი იყო ჩვენს ქვეყანაში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ

**საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გარდაქმნის შემდგომი მიმდინარე ობიექტივის და პოლიტიკური რეფორმის რეალიზაციისათვის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი ორგანოების დეპუტატთა მომავალ არჩევნებს.**

**როგორი პოზიცია უნდა დაიკავონ პარტიულმა ორგანიზაციებმა? მომლოდინე? — დაე, ყველაფერი თვითდინებით წავიდეს, რადგან არის საარჩევნო კომისიები, დაე, ისინა იყვნენ არჩევნებით დაკავებულნი, პარტორგანიზაციები კი შეიძლება ბოლო, დამამთავრებელ ეტაპზე ჩაებნენ, თუ წინასაარჩევნო კამპანიაში დაუფყოვნებლივ ჩაერიონ და იმოქმედონ დაუყოვნებლივ, იმოქმედონ გადამწყვეტად?**

**აი, ამ საკითხებზე ესაუბრა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბურამ ფიფია ჩვენს კორესპონდენტს.**

— პატიცემულო ბურამ, ჩვენი ცხოვრება ალბათ არასოდეს ყოფილა ასე დაძაბული, როგორიც დღეს არის. ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება, უნიტაუყო ბორჩილებისაგან გათავისუფლება, საზოგადოების ყველა ფენის ამოძრავება, პოზიციების გარკვევა. დადგა ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი ქართველი ერის ცხოვრებაშიც. სწორედ ამიტომ ნათელია, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნები ო�e არ იქნება. ჩვენ ვალდებულნი ვართ მომავალში მაინც არ ავირჩიოთ პარლამენტში ულირსი ადამიანები...

— ჩემი აზრით, მომავალი არჩევნები სერიოზული გამოცდა იქნება პარტიული ორგანიზაციებისათვის. ახლა გამოჩნდება, რა უნარი შესწევს მათ, რა გავლენის მოხდენა შეუძლიათ მასებზე, როგორ შეუძლიათ მოიპოვონ მათი ნდობა და როგორი პოლიტიკური მეთოდებით იმოქმედებენ. ვფიქრობ, რომ არჩევნების შედეგები ძნიშნელოვნად განსაზღვრავს იმ ვითარებას, რომელშიც საქართველოს კომპარტიის XXVIII ნოთ, რომ მიმდინარეობს ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ამ ბრძოლიდან გვერდზე გადგომა კი არა მარტო უკეთობა იქნებოდა, არამედ ულირსი საქციელიც.

რაც დრო გადის, ხალხი სულ უფრო ნათლად ხვდება, რომ თავიანთი პირადი ცხოვრების, ეკონომიკური თუ სოციალური მხარე თვითონ უნდა გარდაქმნას. სწორედ აქედან გამომდინარეობს ადგილობრივი საბჭოების გაზრდილი როლიც, სწორედ ისინი უნდა ჩაუდგნენ სათავეში ამ კონკრეტულ საქმიანობას, ჩვენ კი რაც შეიძლება უნდა დავეხმაროთ, ხელი შევუწყოთ. სწორედ ამიტომ არის უფრო აქტუალური ჩვენი საერთო ამოცანა, ავირჩიოთ საბჭოებში ისინი, ვისაც უნარი შესწევს შეასრულოს დაძაბული ორგანიზატორული სამუშაო, კონკრეტული საქმეების საკეთებლად გაიყოლიოს ხალხი და გამოასწოროს შექმნილი მდგომარეობა.

გამორიცხული არ არის, რომ პარლამენტში ასარჩევ კანდიდატებად მოხვდნენ ისეთებიც, რომლებიც საარჩევნო კამპანიის დროს დაპირებებს იძლევიან, მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციაში ანტიხალხურ, ანტიეროვნულ პოზიციაზე დგებიან და სრულ უსუსურობას იჩენენ. ამიტომ ვალდებულნი ვართ უღირსნი არ ავირჩიოთ პარლამენტში. ჩვენი ვალია დავუხმაროთ ხალხს, გააკეთოთ არჩევანი არა მოჩვენებითი პიროვნებაზე, არამედ რეალურ, ღირსეულ კაცზე. თუ ადამიანს უნარი შესწევს თვითონ, ისე რომ სხვის მხრებზე არ გადაატანოს სიმძიმე, არ ელოდოს წყალობას ზემოდან, ყოველივე რაც ჩაფიქრებული აქვს ადგილზე განახორციელოს — ასეთი ადამიანი ღირსია სახალხო დეპუტატობისა.

— **გარდაქმნამ, დემოკრატიამ, საკუთრებამ, ბუნებრივია, გამოიწვია ფართო მასების საზოგადოებრივი აქტიურობის მოზღვავება და, რა დასამალია, ჩვენი ხელმძღვანელი მუშაკები ამას ყოველმხრივ მზად როდი შეხვდნენ. მეტიც, ზჩრად ეს უკანასკნელნი მასობრივი თავშეყრისა და სხვა ღონისძიებათა დროს ამჯობინებენ გარეგნულად პასიურ პოზიციაზე დადგნენ, უჭირთ არა თუ ესოდენ საჭირო დიალოგის წარმართვა, არამედ წამოწყებულ საუბარში ღირსეული პარტნიორობის გაწევაც კი. რით შეიძლება აიხსნას ასეთი ვითარება კონკრეტულად თქვენს საქალაქო კომიტეტის გამოცდილების, გათვალისწინებით?**

— დიახ, ამ ბოლო დროს პარტიას ზშირად ესმინან თავს, მაგრამ ისიც შემიმჩნევია, საკმარისია ჩაება პაექრობაში, რომ იქვე დაიწყება დემაგოგიური ყვირილი „დემტატზე“. ასეთი პრესინგების პირობებში კომუნისტების ნაწილი უგულობას იჩენს, ზოგიერთს კი პოლიტიკური ბრძოლის არც ცოდნა და არც გამოცდილება ჰყოფნის. აქედან გამომდინარე, ასეთი პარტიული მუშაკები მაშინაც კი პასიურობენ, როდესაც „კრიტიკოსს“ არაფერი აქვს სათქმელი, გარდა კარგად დაყენებული ხმისა.

ამ დიდი ხნის ნანატრ, მაგრამ საოცრად პასუხსაგებ ვითარებაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტაქტს და წინდახედულებას, რადგან ერომა გაუაზრებელმა ფრაზამ, შეიძლება ხელი შეუშალოს ნდობის ხიდების აღდგენას, რაც ესოდენ აუცილებელია ჩვენი მომავლისათვის.

რასაკვირველია, რეალისტები უნდა ვიყოთ, გავითვალისწინოთ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სიტუაცია, რომელსაც ზოგჯერ, და არც თუ ისე უსაფუძვლოდ, კრიზისულს, კატასტროფულს ეძახიან.

სამწუხაროდ, ისე როგორც ყველგან ჩვენს ქალაქშიც მოსწყინდა ხალხს მარტო დაპირებები. ამ ბოლო დროს არაფერი გაგვიკეთებიაო, მთლად ამასაც ვერ ვიტყვით, მაგრამ ძალიან ბევრი ხარვეზი რომ მძლავრობს ჩვენს მუშაობაში, ესეც ფაქტია. პარტიის საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის ვერ იჩენენ მოვლენების ღრმა შეფასებისა და შესაბამისი ტაქტიკური გზების გამონაბეჭის უნარს.

— **ალტერნატიული არჩევნების დროს კანდიდატების რიცხვი რამდენიმეჯერ უფრო მეტია წინანდელთან შედარებით, შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოც ძალიან შრომატევადია, რა გორც თქვენ ბრძანეთ, კომუნისტები არ შეიძლება შორიდან მაყურებლის როლს დასჯერდნენ, თანაც მუშაობის ძველი მეთოდები არ გამოდგებიო, მაგ როგორია საჭირო?**

— ჩვენ ზჩრად ვახსენებთ საქმიანობის პოლიტიკურ მეთოდებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ საკმაოდ მომზადებულ პარტიულ მუშაკსაც კი არ შეუძლია ნათლად აგიხსნას, თუ რა არის ეს. იმიტომ, რომ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში ზჩრად ამ მეთოდებზე მარტოოდენ ვლაპარაკობდით, უფრო კი მაინც შინაპარტიულ დისციპლინას, მისი ცალმხრივად განმარტებული დემოკრატიული ცენტრალიზმის იმედად ვიყავით.

უპირველეს ყოვლისა დარწმუნებული ვარ, რომ პარტიული ორგანიზაციების ზეგავლენა როგორც ამომრჩევლებზე, ისე დეპუტატობის კანდიდატებზე, მით უფრო ძლიერი იქნება, რაც უფრო მეტად დავინტერესდებით ეროვნული სატკივარით, სოციალური სფეროს გარდაქმნით.

სურსათით მომარაგება, დემოგრაფიული სიტუაციის, ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესება, საცხოვრებელი სახლების, გზებისა და ქუჩების მშენებლობა, სკოლების, საბავშვო ბაღების რიცხვის ზრდა და ა. შ. აი, რას უნდა ჰქონდეს პრიორიტეტი ჩვენს პროგრამაში. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, გაიმარჯვებს არა ის, ვინც ბევრ დაპირებებს იძლევა, არამედ ის ვინც მაშინვე, დაუყოვნებლივ, ამომრჩევლებთან ერთად შეუდგება თავისი წინასაარჩევნო პროგრამის განხორციელებას. ხალხი ელოდება არა მოლაპარაკეს, არამედ ორგანიზატორს, ვინც თუნდაც მოკლე ნაბიჯებით, მაგრამ მაინც წაიწევს წინ.

კიდევ ერთ საკითხს მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება. ჩვენ თანაბრად ვერ ვახორციელებთ პარტიულ-პოლიტიკურ გავლენას მოსახლეობის ყველა ფენაზე. ზზირად მხედველობიდან გვრჩება ტრანსპორტის ეკიპრობის მომსახურების სფეროს და სამედიცინო დაწესებულებების, სპორტული ორგანიზაციების მუშაკები.

მათ ხომ ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ ხალხთან. და არც თუ იშვიათად არაფორმალური პროპაგანდისტები არიან. მაგალითად, ტაქსის მძღოლს შეუძლია მგზავრთან, თავისი დამოკიდებულების მიხედვით, კარგად ან ცუდად ილაპარაკოს ამა თუ იმ დეპუტატობის კანდიდატზე. ასეთი ინფორმაცია უფრო დიდხანს რჩება მეხსიერებაში. მსგავსი ფაქტები ათასობით არის. შეიძლება ისინი ყურადღების გარეშე დავტოვოთ?

ამიტომ, ვფიქრობ, აგიტატორების მუშაობის ფორმაც მრავალფეროვანი უნდა იყოს.

ამჟამად მომდინარეობს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება, პარტიულ ორგანიზაციებს აქვთ ყველა შესაძლებლობა, რომ აქტიურად დაუჭირონ მხარი გარდაქმნის მომხრეებს, პარტიის იდეურ პლატფორმას.

პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა უკვე აღუთქვა ქალაქის მშრომელებს, რომ ყველაფერში დაეყრდნობა ხალხის ახალგაზრდობის აზრს, განუხრელად განაგრძობს გარდაქმნის კურსს. მჯერა, რომ ქალაქის მშრომელები დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელებენ და მხარს დაუჭერენ გარდაქმნის აქტიურ მომხრეებს, მაღალი პასუხისმგებლობის, კომპეტენტურ, გაბედულად მოქმედ, მოაზროვნე ადამიანებს. ეს კი დეპუტატთა ღირსეული კორპუსის ჩამოყალიბების საწინდარი იქნება.

**მარადი ანასაშვილი,**
**„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.**

## ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

**ვილნიუსი,** 17 იანვარი. (საკ.ინფორმ.). დღეს აქ გაიმართა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

მისმა მონაწილეებმა განიხილეს ლიტვის სს რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა ჯგუფის ყოფნამ ლიტვაში ხელი შეუწყო ურთიერთგაგების გაუმჯობესებას, და გააკეთა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. კ. ბრაზაუსკასმა. პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ მ. ს. გორბაჩოვისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა ჯგუფის ყოფნამ ლიტვაში ხელი შეუწყო ურთიერთგაგების გაუმჯობესებას, და გამოთქმულია რწმენა, რომ ეს დაეხმარებათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმზე მიიღონ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი.

განისაზღვრა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების წინ კომპარტიის მუშაობის მთავარი მიმართულებანი, აგრეთვე პარტიული სტრუქტურებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების რეორგანიზაციის პრინციპები.

# არ შეიძლება

# განზე ვიდგეთ

ყრილობა გაიმართება. ახლანდელი არჩევნები პირდაპირ გავლენას მოახდენს მის მუშაობაზე.

ამიტომ ზუგდიდელმა კომუნისტებმა გადავწყვიტეთ წინასაარჩევნო კამპანიაში ჩავრეულიყვნით დაუყოვნებლივ და გვემოქმედა გადამწყვეტად. ჩვენ უკუვაგდეთ თეზისი წინასაარჩევნო ბრძოლაში ჩაურევლობის შესახებ. წინაღმდეგ შემთხვევაში გართულებულ ვითარებაში მოგვიხდებოდა მუშობა, ამომრჩეველთა თვალში კვლავ ისე, როგორც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებისას, აღმოვჩნდებოდით „სანგრებში“ და არა წინა ხაზზე.

დაყოვნება, ტემპის შენელება, დღეს ნიშნავს დავკარგოთ პოლიტიკური ინიციატივა და გამოვიჩინოთ უსასუხისმგებლობა. ამიტომ, ამჟამად არჩევნებისათვის მზადება, პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მიზანია. ჩვენი აზრით, ახლანდელი დემოკრატიული არჩევნები გარდატეხას შეიტანს რესპუბლიკის, ჩვენი ქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხელს შეუწყობს საბჭოების, როგორც ხალხის გმგებლობის, განაწლებასა და გაძლიერებას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა აქტიურად მოჰკიდეს ხელი წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზაციას, მონაწილეობენ დეპუტატთა კანდიდატების დასახელებაში, გადავწყვიტეთ პრინციპულად შეეფასოთ დემაგოგიური და სხვა უპატიოსნო ხერხები, რომელთა გამოყენებით ცალკეული კანდიდატებსა და მათ მხარდამჭერ ჯგუფებს შეუძლიათ ამომრჩეველთა ხმების მოგროვება სცადონ. არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები განვიხილეთ პარტიულ კრებებზე, პარტიული ბიუროებისა და კომიტეტების სხდომებზე.

ამაში კი გვეხმარება სპეციალურად შემუშავებული გეგმა, რომელიც არჩევნების ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური უზრუნველყოფის ძირითად ღონისძიებებს მოიცავს.

აქტიურად ვთანამშრომლობთ, რუსთაველის სახალხო ფრონტის, საქართველოს სახალხო ფრონტის და სხვა მოძრაობათა წარმომადგენლებთან, ვიღებწით საზოგადოების კონსოლიდაციისათვის.

— **გამოდის, რომ პარტია აქტიურად ერევა საარჩევნო კამპანიაში?**

— დიახ, ჩვენ. ვალდებულნი ვართ ვიტრიალოთ ცხოვრების შუაგულში. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ტრემალურ სიტუაციაში ანტიხალხურ, ანტიეროვნულ პოზიციაზე დგებიან და სრულ უსუსურობას იჩენენ. ამიტომ ვალდებულნი ვართ ულირსნი არ ავირჩიოთ პარლამენტში. ჩვენი ვალია დავუხმაროთ ხალხს, გააკეთოთ არჩევანი არა მოჩვენებით პიროვნებაზე, არამედ რეალურ, ღირსეულ კაცზე. თუ ადამიანს უნარი შესწევს თვითონ, ისე რომ სხვის მხრებზე არ გადაატანოს სიმძიმე, არ ელოდოს წყალობას ზემოდან, ყოველივე რაც ჩაფიქრებული აქვს ადგილზე განახორციელოს — ასეთი ადამიანი ღირსია სახალხო დეპუტატობისა.

— **გარდაქმნამ, დემოკრატიამ, საკუთრებამ, ბუნებრივია, გამოიწვია ფართო მასების საზოგადოებრივი აქტიურობის მოზღვავება და, რა დასამალია, ჩვენი ხელმძღვანელი მუშაკები ამას ყოველმხრივ მზად როდი შეხვდნენ. მეტიც, ზჩრად ეს უკანასკნელნი მასობრივი თავშეყრისა და სხვა ღონისძიებათა დროს ამჯობინებენ გარეგნულად პასიურ პოზიციაზე დადგნენ, უჭირთ არა თუ ესოდენ საჭირო დიალოგის წარმართვა, არამედ წამოწყებულ საუბარში ღირსეული პარტნიორობის გაწევაც კი. რით შეიძლება აიხსნას ასეთი ვითარება კონკრეტულად თქვენს საქალაქო კომიტეტის გამოცდილების, გათვალისწინებით?**

— დიახ, ამ ბოლო დროს პარტიას ზშირად ესმინან თავს, მაგრამ ისიც შემიმჩნევია, საკმარისია ჩაება პაექრობაში, რომ იქვე დაიწყება დემაგოგიური ყვირილი „დემტატზე“. ასეთი პრესინგების პირობებში კომუნისტების ნაწილი უგულობას იჩენს, ზოგიერთს კი პოლიტიკური ბრძოლის არც ცოდნა და არც გამოცდილება ჰყოფნის. აქედან გამომდინარე, ასეთი პარტიული მუშაკები მაშინაც კი პასიურობენ, როდესაც „კრიტიკოსს“ არაფერი აქვს სათქმელი, გარდა კარგად დაყენებული ხმისა.

ამ დიდი ხნის ნანატრ, მაგრამ საოცრად პასუხსაგებ ვითარებაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტაქტს და წინდახედულებას, რადგან ერომა გაუაზრებელმა ფრაზამ, შეიძლება ხელი შეუშალოს ნდობის ხიდების აღდგენას, რაც ესოდენ აუცილებელია ჩვენი მომავლისათვის.

რასაკვირველია, რეალისტები უნდა ვიყოთ, გავითვალისწინოთ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სიტუაცია, რომელსაც ზოგჯერ, და არც თუ ისე უსაფუძვლოდ, კრიზისულს, კატასტროფულს ეძახიან.

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ

**საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გარდაქმნის შემდგომი მიმდინარე ობიექტივის და პოლიტიკური რეფორმის რეალიზაციისათვის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი ორგანოების დეპუტატთა მომავალ არჩევნებს.**

**როგორი პოზიცია უნდა დაიკავონ პარტიულმა ორგანიზაციებმა? მომლოდინე? — დაე, ყველაფერი თვითდინებით წავიდეს, რადგან არის საარჩევნო კომისიები, დაე, ისინა იყვნენ არჩევნებით დაკავებულნი, პარტორგანიზაციები კი შეიძლება ბოლო, დამამთავრებელ ეტაპზე ჩაებნენ, თუ წინასაარჩევნო კამპანიაში დაუფყოვნებლივ ჩაერიონ და იმოქმედონ დაუყოვნებლივ, იმოქმედონ გადამწყვეტად?**

**აი, ამ საკითხებზე ესაუბრა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბურამ ფიფია ჩვენს კორესპონდენტს.**

— პატიცემულო ბურამ, ჩვენი ცხოვრება ალბათ არასოდეს ყოფილა ასე დაძაბული, როგორიც დღეს არის. ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება, უნიტაუყო ბორჩილებისაგან გათავისუფლება, საზოგადოების ყველა ფენის ამოძრავება, პოზიციების გარკვევა. დადგა ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი ქართველი ერის ცხოვრებაშიც. სწორედ ამიტომ ნათელია, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნები ოილი არ იქნება. ჩვენ ვალდებულნი ვართ მომავალში მაინც არ ავირჩიოთ პარლამენტში ულირსი ადამიანები...

— ჩემი აზრით, მომავალი არჩევნები სერიოზული გამოცდა იქნება პარტიული ორგანიზაციებისათვის. ახლა გამოჩნდება, რა უნარი შესწევს მათ, რა გავლენის მოხდენა შეუძლიათ მასებზე, როგორ შეუძლიათ მოიპოვონ მათი ნდობა და როგორი პოლიტიკური მეთოდებით იმოქმედებენ. ვფიქრობ, რომ არჩევნების შედეგები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმ ვითარებას, რომელშიც საქართველოს კომპარტიის XXVIII

# ქართული შრიფტი სატელეფონო ქსელში

საძიებო სამუშაობები ახალი ძალით წარიმართა.

საკითხის პრობლემატურობა ის იყო, რომ სამამულო წარმოების სატელეგრაფო აპარატები არ იძლევა საშუალებას მათში შევიყვანოთ ქართული შრიფტი ისე, რომ სრულად იქნეს შენარჩუნებული რუსული და ლათინური შრიფტები, ციფრული რეგისტრი. აპარატის მიმართ წაყენებული ეს მოთხოვნა სატელეგრაფო წესებით და საერთაშორისო ნორმატივებით აუცილებელია.

იმისათვის, რომ მოკლე ვადაში და მინიმალური დანახარჯებით მიგვეღწია საწადელს, სატელეგრაფო აპარატის შექმნის რამდენიმე გზიდან, როგორც ახლა უკვე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, ჩვენ ერთადერთი სწორი გზა ავირჩიეთ. ეს გახლდათ ის, რომ ჩვენი ძალებით მოგვეხდინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფირმის (რფტ) მიერ წარმოებული მიკროპროცესული ფ-2000 ტიპის სატელეგრაფო აპარატის მოდერნიზაცია და მასში დამატებით ქართული შრიფტის შეყვანა.

ამ ურთულესი ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტა იკისრა თბილისის ტელეგრაფის სპეციალისტთა ჯგუფმა ამირან ფოფხაძის, მიხეილ შენგელიას, რევაზ აზიზიანის და დავთი ქავთარაძის შემადგენლობით, მათი თავდაუზოგავი შრომისა და შემოქმედებითი აზროვნების შედეგად დაუშავდა და შეიქმნა უნივერსალური სატელეგრაფო აპარატი, რომელსაც შეუძლია ქართული, რუსული და ლათინური დამწერლობის მქონე სატელეგრაფო ინფორმაციის დამუშავება.

ახალი უნივერსალური აპარატების დასამზადებლად საჭირო გახდა დიდი მოცულობის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება, რაშიც დახმარება აღმოგვიჩინეს რესპუბლიკის მთელმა რიგმა საწარმოებმა და უწყებებმა. მათ შორის განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვის“ შრომითი კოლექტივი და ამ გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე ი. წულაძე, სსრ კავშირის 50-წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების და საწარმოო გაერთიანება „საელექტროაპარატის“ შრომითი კოლექტივები.

დღეს განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით გვინდა აღვნიშოთ ანტონ დუმბაძის — გამსახურდიის ლაბორატორიის გამგის დამსახურება, რომელმაც დიდი შემოქმედებითი შრომა გასწია სატელეგრაფო აპარატებში შესაყვანი ქართული შრიფტის შესაქმნელად.

ქართულშრიფტიანი უნივერსალური სატელეგრაფო აპარატების საკუთარი ძალებით გადაკეთება ისევ თბილისის ტელეგრაფის კოლექტივმა ითავა. აქ მოკლე ვადაში დიდი შრომატევადი სამუშაოები შესრულდა, რის შედეგადაც დღეს ხელთ გვაქვს 240-მდე ასეთი აპარატი. ამ სამუშაოთა შესრულებაში თავი გამოიჩინეს აგრეთვე ვახტანგ კალაძემ, თემურ ხუციშვილმა, თენგიზ იჩიტიძემ, თემურ ყიფიანმა, ზაქარია ვარამაშვილმა, სტანისლავ ტრიანდაფილოვმ.

პარალელურად მიმდინარეობდა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი სამუშაობა. შემუშავდა და დაისტამბა ქართულშრიფტიანი სატელეგრაფო აპარატზე მუშაობის ინსტრუქცია. ამ აპარატებზე სამუშაოდ მომზადდა 100-მდე ტელეგრაფისტი და სხვა.

ყოველივე სირთულე გადაილახა და დღეს ქართულშრიფტიანი უნივერსალური აპარატები დადგმულია და მოქმედებენ ქ. თბილისის კავშირგაბმულობის №№1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 14, 15, 18, 24, 30, 34, 35, 36, 37, 39, 44, 45, 48, 52, 62, 63, 67, 77, 79, 82, 86, 96, 103, 113, 122 განყოფილებებში.

ასეთი აპარატები მუშაობს აგრეთვე ქუთაისში, ფოთში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ზუგდიდში, ტყიბულში, წყალტუბოში, ზესტაფონში, ჭიათურაში, საჩხერეში; ხაშურში, ბორჯომში, გორში, გურჯაანში, თელავში, ახმეტასა და ახალციხეში. ამ ქალაქების მოსახლეობას და საწარმო-დაწესებულებს ხელმძღვანელებს მივმართავთ თხოვნით, ისარგებლონ კავშირგაბმულობის ორგანიზაციების მომსახურებით და აღნიშნულ ქალაქებში დეპეშები გაგზავნონ ქართული დამწერლობით.

ქართულშრიფტიანი უნივერსალური აპარატების დადგმა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გრძელდება და უახლოეს პერიოდში ისინი ამოქმედდებიან ბათუმში, სოხუმში, რუსთავში, სენაკში, სიღნაღში და თბილისის № 11, 20, 23, 41, 47, 51, 53, 54, 59, 61, 65, 72, 74, 78, 89, 98, 102, 104, 115, 119, 120 განყოფილებებში.

ამ დიდი ეროვნული საქმის გადაწყვეტაში დიდ დახმარებას გვიწევს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო, რომლის მეშვეობით რესპუბლიკაში შემოტანილ იქნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმოების ფ-2000-ის ტიპის სატელეგრაფო აპარატები. 200 ასეთი აპარატი მიმდინარე წელსაც არის გამოყოფილი. გადაკეთების შემდეგ ისინი ამოქმედდებიან დამატებით კიდევ 40-მდე ქალაქსა და რაიცენტრში. ასე რომ, ჩვენი ვარაუდით, რესპუბლიკის საერთო სარგებლობის სატელეგრაფო ქსელში ქართული შრიფტის დანერგვა 1991 წელს დასრულდება.

რესპუბლიკის სატელეგრაფო ქსელში ქართულშრიფტიანი უნივერსალური აპარატების დანერგვა და მათი ექსპლოატაცია ჩვენს მუშაკებს გარკვეულ გამოცდილებას მისცემს, თანდათან დაიხვეწება ქართული დამწერლობის დეპეშების დამუშავება და სხვა. ამასთან ერთად რესპუბლიკის საზოგადოებრიობას ვთხოვთ დეპეშის ტექსტის შედგენისას დაიცვან მართლ

# მსოფლიოში

საკვლევი იუწყება

19 იანვარი


● გდრ

## თანხმობის მისაღწევად

**ბერლინი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ იგი წარმოადგენს გონიერებისა და პასუხისმგებლობის ძალთა კოალიციას. ასრულებს რა ხალხის ნებას, იგი განაგრძობს თავის საქმიანობას, როგორი რთულიც უნდა იყოს შიდაპოლიტიკური ვითარება. ეს განაცხადა რესპუბლიკის მინისტრთა სახჭოს თავმჯდომარემ ჰანს მოდრო